ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 27

"15" თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №22.73.66 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

					დანართი N1

ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N2ა (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.004)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	მარინე კურტანიძე	01023011196	სართული 10, ბინა N18	39.66	01.12.07.004.004.01.018
2	გოდერძი გახარია	48001005047	სართული 11	61.27	01.12.07.004.004.01.1151